

პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. **კოლეჯი** - სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“.
2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა.
3. **მოდული** - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს.
4. **კომპეტენცია** - სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა.
5. **სწავლის შედეგი** - განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ.
6. **ვერიფიკაცია** - შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შედეგების შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.

მუხლი 3. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს.

მუხლი 4. შეფასების პრინციპები

1. შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ა) ვალიდურობას;
- ბ) სანდოობას;
- გ) გამჭვირვალობას;
- დ) სამართლიანობას;
- ე) ობიექტურობას.

1.1. ვალიდურობა.

- ა) ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი.
- ბ) შეფასება ვალიდურია, როდესაც:
 - პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიზნის შესაბამისად გეგმავს შეფასების პროცესს;
 - შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე (მაგ. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებულია დაკვირვება და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების სხვა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები).
 - გ) პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.
 - დ) საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში.

1.2. სანდოობა.

- სანდოა შეფასება თუ:
- ა) შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს;
 - ბ) გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;
 - გ) ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
 - დ) ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.

1.3. ობიექტურობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა.

1. ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის.
2. მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერილი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი.
3. სასურველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო.
4. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი. თუმცა, სიმარტივე უნდა გამოირიცხავდეს მტკიცებულებებიდან რომელიმეს უგულებელყოფას.

მუხლი 5. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით მუდმივმოქმედი კომისიის (შემდგომში - კომისია) შექმნა

1. მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. კომისიის წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
3. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრები.
4. კომისია იკრიბება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ჯგუფის მიერ კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის/დამატებითი სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურების დასრულებისას, ამ წესით განსაზღვრული პირობების მონიტორინგის მიზნით.
5. შეფასების სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის შედეგის დადასტურება შესაძლოა მოითხოვდეს დამკვირვებლის ჩართულობას. დამკვირვებელი შეიძლება იყოს დარგის/შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი.

მუხლი 6. შეფასება მოდულური პროგრამების ფარგლებში

მოდულური პროგრამების კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება ამ დოკუმენტით, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

მუხლი 7. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება

1. მოდულურ პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის (შესაფასებელი პირის) მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
2. მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი.
3. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ პროფესიული სტუდენტი (შესაფასებელი პირი) დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
4. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

მუხლი 8. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა

1. მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასება არსებობს:
 - ა) განმავითარებელი;
 - ბ) განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვისის პრინციპის გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვისის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

მუხლი 9. სწავლის შედეგის დამატებით დადასტურება (განმეორებითი შეფასება)

1. განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს წერილობითი განცხადების საფუძველზე უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად.
2. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი (მაგ. სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი ან სხვა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით, უფლებამოსილი არის განსაზღვროს დამატებითი (განმეორებითი) შეფასების ვადები შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. პროფესიული სტუდენტის წერილობითი განცხადებისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის/სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის შედეგ(ებ)ის დამატებითი (განმეორებითი) სწავლის შედეგის დადასტურებაზე დაშვების შესახებ.

მუხლი 9¹. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის

კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

მუხლი 10. შეფასების ინსტრუმენტები

1. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმხორციელებელ პირს (პირებს).
2. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას.

მუხლი 11. შეფასების ინსტრუმენტის შიდა ვერიფიკაცია და ვალიდაცია

1. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიკირების პერიოდს.
- 1¹. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაციის შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების გასაჩივრების სისტემატური მონიტორინგის შემთხვევაში, ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორის არსებობის ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებებისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით.
- 1². პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ვერიფიკაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს მოდულის განმხორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ან/და პროფესიული განვითარების/გადამზადების შესახებ. ვერიფიკაციის ჯგუფი ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტს შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით განსახილველად უბრუნებს ვალიდაციის ჯგუფს შემდგომი რეაგირების მიზნით.
2. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების შიდა ვერიფიკაციის განხორციელებისათვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები.
3. ვალიდაციას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შექმნილი ვალიდაციის ჯგუფი, რომლის აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები.
4. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალიდაციის ჯგუფს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს.
5. ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) დღით.
6. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია.
7. შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვერიფიკირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება, რომელზეც მითითებული უნდა იყოს „გავლილია ვალიდაცია“ შესაბამისი თარიღის მითითებით.

მუხლი 12. მოთხოვნები მტკიცებულების მიმართ

1. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანმიმდევრულად შესრულება. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება ეფუძნებოდეს მტკიცებულებას, რომელიც უნდა იყოს ვალიდური, ტრანსფერული, ავთენტური, საკმარისი და მოდულის სპეციფიკით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი.

2. მტკიცებულების საკმარისობა – მტკიცებულება საკმარისია, თუ ამ მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია საქმიანობის განხორციელება შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.
3. მტკიცებულების ვალიდურობა – ვალიდურია მტკიცებულება, თუ ის ზუსტად ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო.
4. მტკიცებულების ავთენტურობა – მტკიცებულება ავთენტურია, თუ ის შესრულებულია შესაფასებელი პირის მიერ.
5. მტკიცებულების ტრანსფერულობა – მტკიცებულება ტრანსფერულია, თუ მის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიული სტუდენტი იმავე დავალების შესრულებას შეძლებს იმავე კრიტერიუმების შესაბამისად, არა მხოლოდ სასწავლო ან სიმულაციურ, არამედ რეალურ სამუშაო გარემოშიც.
6. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის (შესაფასებელი პირის) მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით არსებულ დადასტურებას.
7. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს.
8. შესრულების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

მუხლი 13. შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესები. შეფასების უწყისის გაფორმება

1. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები კომისიის მიერ ფორმდება შესაბამისი ოქმითა და უწყისით.
2. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს სათანადო აღრიცხვის მიზნით.
3. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად.